

ენაში იშვიათად საპირისპირო შემთხვევაც შეინიშნება, კონტრ-ქსტის მიხედვით კონკრეტულ ქუჩაზეა საუბარი, სახელი კი -ში თან-დებულებიანი ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ.: „შრაგინი იმ ქუჩაში [უნდა იყოს: ქუჩაზე] იდგა, რომლითაც... გერმანელთა ჯარები ქალა-ქის გავლით წინ მიიწევენ“ (ი. იაშვ., თარგმ.).

იხ. აგრ. -ზე / -ში.

ღ

**ღამე ნებისა.** ღამით გამოთხოვებისას, დამშვიდობებისას ქართუ-ლი ენა იყენებს ფორმულებს: **ღამე მშვიდობისა და ძილი ნებისა:** „ღამე მშვიდობისა, ჩემო რძალო და ძილი ნებისა!“ (აკაკი); „— ძილი ნებისა, ბატონო გიორგი“ (თ. გოგოლ.); „— ძილი ნებისა“ (ი. იაშვ., თარგმ.).

უკანასკნელ ხანებში ზეპირი გზით გავრცელდა ანალოგიური მნიშვნელობით ხმარებული გამოთქმა—**ღამე ნებისა**, რომელიც ქველ-ში სასაუბრო ფორმად არის კვალიფიცირებული („საუბ. იგივეა, რაც ძილი ნებისა“). იგი მიღებულია გამოთქმების — **ღამე მშვიდო-ბისა და ძილი ნებისა**-ს კონტამინაციის შედეგად. მან ზეპირი მეტყვე-ლებიდან სალიტერატურო ენაშიც შეაღწია და ამჟამად აქტიურ კონ-კურენციას უწევს ამოსაეალ გამოთქმებს. მაგ.: „— მაშინ **ღამე ნებისა**, ჩანთისათვის ხეალ მოდი“ (ნ. ქართვ., თარგმ.); „— **ღამე ნებისა**, სერ“ (გ. ჭელ., თარგმ.); „— **ღამე ნებისა**, ექიმო ნატუშ“ (ნ. ძოწენ., თარგმ.); „— **მაშ ღამე ნებისა**, მისის ალენ...“ (ნ. ძოწენ., თარგმ.); „— **ღამე ნებისა...**“ (ი. იაშვ., თარგმ.); „— **ღამე ნებისა**, — უთხრა პასუხად დმიტრიევმა“ („საუნჯე“).

საგულისხმოა, რომ **ღამე ნებისა** ძირითადად თარგმნილ ლიტერა-ტურაში დასტურდება: სათანადო ენებში სიტყვა **ღამე** (რუს. Добр-рой ночи. ინგლ. Good night, გერმ.  $\ddot{u}$  Gulen Nacht) იხმარება. ყველა შემთხვევაში უპირატესობა ტრადიციულ ფორმულებს უნდა მიეცეს.

**ღრმა; ღრმად.** ზედსართავი სახელი **ღრმა**, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა: ზედაპირიდან ფსკერამდე დიდი მანძილის შემცველი, სიღრმის მქონე (ღრმა ჭა, ღრმა წყალი, ღრმა მდინარე...), ხშირად მო-ნაწილეობს ფიგურალურ გამოთქმებში; ღრმა კვალი, ღრმა ძილი, ღრმა ჭრილობა, ღრმა ზურგი (სამხედრო ტერმინი) და მისთ. ამ ზედსართა-ვის გადატანითი მნიშვნელობაა აგრეთვე: შინაარსის მიხედვით რთუ-

ლი, სერიოზული, საფუძვლიანი. მაგ.: ღრმა აზრი, ღრმა მწუხარება, ღრმა მიზეზები...

აქედან ჩანს, რომ **ღრმა** მრავალ სიტყვასთან ქმნის ქართულ ენაში ხშირად სახმარსა და გავრცელებულ სინტაგმებს. მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამ სიტყვის, ისევე როგორც მისი ზმნისართული **ღრმად** ფორმის, გამოყენების ფარგლები მეტისმეტად განივრცო და ზოგ სიტყვასთან მისი დაკავშირება არ არის ბუნებრივი, ზოგჯერ კერძო ხასიათსაც ატარებს. მაგ.: „ნიკოლოზი ყველას აკვირვებდა თავისი **ღრმა** [აჯობებდა: დიდი, დაუოკებელი] **ცნობისმოყვარეობით**“ (შ. რად.); „მისი **ღრმა** [აჯობებდა: დიდი, უდიდესი] **სურვილია** მოისპოს შური და მტრობა“ („ახ. კომ.“); „[ეს] კიდევ ერთხელ მოწმობს იმ **ღრმა** [უმჯობესია: დიდ, უდიდეს] **შეშფოთებას**, რომელსაც განიცდიან ბრიტანეთის მოსახლეობის ფართო ფენები“ („კომ.“); „საჭიროა სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში სპეციალისტების **ღრმა** [უნდა იყოს: საფუძვლიანი] **მომზადება** და უკეთ აღზრდა“ („კომ.“); „ვიცი, [ეს] სასაცილოდ არ ეყოფა ბევრ **ღრმა** [უნდა იყოს: დიდ, გამოჩენილ, კარგ; ღრმად, დიდად განსწავლულ] **სპეციალისტს** თანამედროვე სკოლისას“ („სკ. და ცხოვრ.“); „...**ღრმა** [უნდა იყოს: დიდი, ძლიერი] იყო ქუჩის **ძალა**, ქუჩის **გავლენა**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „უფრო **ღრმად** [აჯობებდა: არსებითად, საფუძვლიანად, დაკვირვებით] თუ **ვიმსჯელებთ**, შენ ჩაიღინე დანაშაული“ (გ. ფანჯ.); „**ღრმად** [აჯობებდა: დიდად, ძლიერ] **გვაღელვებს** შეხვედრა ქართველ კოლეგებთან“ („კომ.“).

8

**ყველა, ყოველი, თითოეული** განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია. თითოეულ მათგანს გამოყენების საკუთარი სფერო აქვს, რის გათვალისწინებაც აუცილებელია მსაზღვრელებად მათი გამოყენებისას.

**ყველა** შეკრებილ სიმრავლეს აღნიშნავს: „ჩამოუარეს რიგით და **ყველას** ხელი დააბანინეს“ (აკაკი). **ყოველი** და **თითოეული** კი დანაწევრებულ, განთითოებულ სიმრავლეს გულისხმობს. ამ უკანასკნელთა შორისაც არის ნიუანსური სხვაობა. კერძოდ: **ყოველ-ს** ნებისმიერების ელფერი აქვს; იგი უფრო ზოგადი, ნებისმიერი სიმრავლიდან გამოცალკეებულ, დანაწევრებულ რაოდენობაზე მიუთითებს: „გულგატეხილი **ყოველი** მოლაღატეა თავისა“ (აკაკი); „კრებები იმართებოდა **ყოველ** საღამოს“ (დ. კლდ.). ხოლო **თითოეული** უფრო განსაზღვრული, კონკრეტული სიმრავლიდან განთითოებულ რაოდენობას აღნი-

შნაეს: „ჩარჩობები... დაერივნენ ჩვენს კენახებს და თვითეული ხე... შესისყიდეს...“ (გ. ლეონ.); „საგამოცდო სესიაზე თითოეული გამოცდის ჩაბარება სტუდენტს 50 გულდენი უჯდება“ (რ. ჯაფ.).

**ყოველისა და თითოეულის** გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება და ისინი ხანდახან მონაცვლეობენ ამა თუ იმ შესიტყვებაში. მაგალითად: „ვღელავდი, როგორც თითოეული [აჯობებდა: ყოველი] აბიტურიენტი“ („ახ. კომ.“). რომელიმე ერთი უმაღლესი სასწავლებლის აბიტურიენტებზე რომ იყოს მსჯელობა, მაშინ თითოეული აბიტურიენტი უფრო ბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა.

**ყოველი და თითოეული** რომ დაცალკევებულ, დანაწევრებულ სიმრავლეზე მიუთითებენ, ეს ზოგჯერ ხაზგასმულია ხოლმე მათთან დაწყვილებული მათგან- სიტყვით: **ყოველი მათგანი, თითოეული მათგანი** (სწორი შესიტყვებებია, აგრეთვე, **ერთი მათგანი, ბევრი მათგანი და ზოგიერთი მათგანი**). **ყოველი მათგანის** (ან — **თითოეული მათგანის**) ნაცვლად არტოუ იშვიათად შეცდომით ხმარობენ **ყველა მათგანს, მათგანი აღნიშნაეს მათში გამოყოფილს, მათ შორის მყოფს**. ხოლო **ყველა, ზემოთქმულის თანახმად, შეკრებილ** (დაუნაწევრებელ, განუყოფელ) სიმრავლეს გულისხმობს. ამიტომ ამ ორი სიტყვის დაკავშირება შეუძლებელია. მაგ.: „**ყველა მათგანმა** [უნდა იყოს: თითოეულმა მათგანმა] დიდი მოწონება დაიმსახურა“ („თბილ.“); „...ადამიანები შემოქმედს თანასწორი შეუქმნია და **ყველა მათგანისათვის** [უნდა იყოს: ყოველი მათგანისათვის] ზოგიერთი ხელშეუვალი უფლება მიუნიჭებია...“ („ახ. ისტ.“, VII); „**ყველა მათგანი** [უნდა იყოს: თითოეული მათგანი] სხვა უფრო შესაფერისი სპეციალობის შეძენას ფიქრობს“ („სკ. და ცნოვრ.“); „აფრიკის ტომები და ხალხები XV საუკუნეში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იყვნენ, მაგრამ **ყველა მათგანმა** [უნდა იყოს: ყოველმა, ან: თითოეულმა მათგანმა] უკვე იცოდა რკინეულის კეთება“ („ახ. ისტ.“ VIII).

**ყველა მათგანი, მათგანი** აღნიშნაეს მათში გამოყოფილს, მათ შორის მყოფს, **ყველა კი** შეკრებილ (დაუნაწევრებელ, განუყოფელ) სიმრავლეს გულისხმობს. ამიტომ ამ ორი სიტყვის დაკავშირება შეუძლებელია. ამის შესახებ იხ. **ყველა, ყოველი, თითოეული**.

**ყველაზე უდიდესი** ტაქტოლოგიური შესიტყვების ნიმუშია, რომელიც საკმაოდ ხშირად იხმარება თანამედროვე ქართულში.

**ყველაზე** — განსაზღვრებითი ნაცვალსახელის -ზე თანდებულიანი ფორმა — ზედსართავ სახელთან შესიტყვებაში გამოიყენება ვითარებითი ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის აღწერითად წარმოების დროს: **ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე წმინდა და ა. შ.** ასეთი აღწერითი ფორმა სინონიმურია ორგანული წარმოებისა

უ — -ეს აფიქსებით: უ-დიდ-ეს-ი, უ-ლამაზ-ეს-ი, უ-წმინდ-ეს-ი და ა. შ. (უწმინდესის სინონიმია აგრეთვე წმიდათაწმიდა).

თანამედროვე ქართულში ზოგჯერ დავიწყებულია ხარისხის ფორმათა წარმოების ეს წესი და ფორმასთან ყველაზე, ნაცვლად ვითარებითი ზედსართავი სახელის დადებითი ხარისხის ფორმისა, უხმარიათ უფრობითი ხარისხის ფორმა, რის შედეგადაც შესიტყვებაში წარმოიქმნა აზრობრივი სიჭარბე, ტაქტოლოგია. მაგ.: „ყველაზე უდიდესი [უნდა იყოს: ყველაზე დიდი, ან: უდიდესი] სიხარული მაშინ განვიცადე, როცა... (ტელეგად.); „ეს მოტივი ყველაზე უმძაფრესია [უნდა იყოს: ყველაზე მძაფრია ან უმძაფრესია]“ („მნათ.“); „[იგი] ყველაზე ულამაზესია [უნდა იყოს: ყველაზე ლამაზია, ან: ულამაზესია] ჩემს მეგობრებს შორის“ („ახ. კომ.“); „ყველაზე წმიდათაწმიდა [უნდა იყოს: ყველაზე წმინდა, წმიდათაწმიდა, ან: უწმინდესი] იყო მათთვის...“ (ტელეგად.) და სხვ.

მაშასადამე, ყველაზე + ზედსართავი სახელის უფრობითი ხარისხის ფორმა (უდიდესი) ქმნის ტაქტოლოგიურ შესიტყვებას, რაც გაუმართლებელია სალიტერატურო ენის სიწმინდის თვალსაზრისით. ამგვარი შესიტყვებები მიღებულია აღმატებითი ხარისხის ორგანული და ზღწერითი წარმოების ფორმათა კონტამინაციით და უკუსავდებია. უნდა იხმარებოდეს ან მხოლოდ ერთი, ორგანული წარმოების ფორმა (უდიდესი, უწმინდესი, ულამაზესი...) ან სწორი შესიტყვება: ყველაზე + ზედსართავი სახელის დადებითი ხარისხის ფორმა (ყველაზე დიდი, ყველაზე წმინდა, ყველაზე ლამაზი...).

**ჰვინთავს** ზმნა ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება: 1. ძილმორეულობის გამო თავს ჰკიდებს, აკანტურებს, — თელემს; 2. წყლის სიღრმეში ჩადის — ადამიანი, ცხოველი, ფრინველი (ქეგლ). შესაბამისად, მოქმედების სახელი **ჰვინთვა** ნიშნავს: 1. ძილმორეულობის გამო თავის კანტურს, თვლემას; 2. წყალში ჩაყურყუმელავენას. საბაბს უწნთვა ახსნილი აქვს, როგორც **ყურჭუმელა**, რომლის სინონიმია **ყურყუმელა** („თავდაღმა წყალში ჩასვლა“).

**ჰვინთავს** ზმნის ფორმები **ჩა- ზმნისწინით** იხმარება: **ჩაჰვინთავს** (ჩაჰვინთა, ჩაჰყვინთავს). ამავე შინაარსით იხმარება **ჩაიყურყუმელავენებს** ზმნის ფორმები (თავიანად ჩაიმალება წყალში, ჩაჰვინთავს): „ელი ნაპირიდან გადახტა და ჩაიყურყუმელავეა [ორთოგრაფიულად სწორია: ჩაიყურყუმელავეა]“ („ცისკ. ბიბ-კა“). საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება ამ ზმნის **ამო- ზმნისწინიანი** ფორმა: **ამოიყურყუმელავენებს** (თავიანად წყალში ჩასული ისევ ამოყოფს თავს. წყლიდან). მაგ.: „მერცხალი ხან ჩაიყურყუმელავენებს, ხან ამოიყურყუმელავენებს და თან ფრთებს იბერტყავს“ (ი. გოგებ.); „გოგონებმა წყლიდან ამოი-

**ყურყუმალავეს** [სწორია: ამოიყურყუმელავეს] და სიცილი დაიწყეს“ („ცისკ. ბიბ-კა“). მაშასადამე, **ჩაიყურყუმელავეს** და **ამოიყურყუმელავეს** ბუნებრივი ფორმებია ერთმანეთის საპირისპირო მოქმედების აღსანიშნავად.

**ჩაყვინთავს** ზმნის საპირისპიროდ **ამო-** ზმნისწინიანი ფორმა სემანტიკურად მოულოდნელია. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ შეცდომით უზმარიათ სწორედ ეს ფორმა: „ედიმ **ამოყვინთა**“ („ცისკ. ბიბ-კა“); „ძლივს დაუსხლტა იმის დაკრუნჩხულ, დაუნდობელ ხელებს. დგაფუნით, ფრუტუნით **ამოყვინთა**“ (ო. ჭილ.). ასეთი ხმარება სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

**ჩაყვინთავს** (ჩაყვინთა) ზმნით აღნიშნული მოქმედების საპირისპირო მოქმედება უნდა გადმოიცეს არა უმართებულო **ამოყვინთავს** (ამოყვინთა) ფორმით, არამედ სხვა ზმნით: **ამოიყურყუმელავეს** (ამოიყურყუმელავა).

**ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს)**. **ყურადღებას მიაქცევს** სალიტერატურო ენაში გავრცელებული მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულია. სინონიმური მნიშვნელობით იხმარება **ყურადღებას მიაპყრობს**, თუმცა **მიაპყრობს** ზმნასთან შესიტყვების წვერად უფრო ბუნებრივი ჩანს **თვალი, მწერა, გულისყური**, ძვ. ქართულში — **ყური (ყურის მიაპყრობა** ძვ. ქართულში ყურის დაგდებას ნიშნავდა: „ყური მიუპყრა ყოველმან მან ერმან სმენად“; ძქელ.). ენაში თავისუფლად იხმარება სინონიმური წყვილები **ყურადღებას იქცევს** და **ყურადღებას იპყრობს**, **ყურადღებით ექცევა** და **ყურადღებით ეპყრობა**, მაგრამ გვაქვს **ყურადღება ექცევა**, **ყურადღება ეპყრობა** კი — არა. ასევე: ბუნებრივი გამოთქმაა **ყურადღებას აქცევს** (ყურადღებას არ აქცევს), **ყურადღებას აპყრობს** (არ აპყრობს) კი ენაში არ დასტურდება.

ზმნები **მიაქცევს** და **მიაპყრობს**, სუბიექტის გარდა, ორ-ორ ობიექტს შეიწყობენ: ის მას მას (ყურადღებას). სახელი, რომელსაც **ყურადღებას მიაქცევენ (მიაპყრობენ)**, წინადადებაში ირიბი დამატებაა და უთანდებულო მიცემითში დაისმის. მაგ.: „გზაში **ყურადღება მიაქციე იმ ქალს**“ (ს. კლდ.); „**ყურადღება მიაპყრო** გამომძიებელმა ოქრუის სიტყვებს“ (ე. ნინოშ.).

**ყურადღება მიაქცია (მიაპყრო) ქალს, სიტყვებს, საკითხს** (უთანდებულო მიცემითში დასმული სახელი) სინტაქსურად სწორად გაფორმებული კონსტრუქციებია. ამ გამოთქმათა გვერდით **ყურადღებას იქცევს უმართებულო კონსტრუქციები**, რომლებშიც ირიბი დამატება უთანდებულო მიცემითის ნაცვლად **-ზე** თანდებულისანი ფორმით არის წარმოდგენილი: „რელიგიის საკითხებზე მსჯელობისას ერთ საგული-სხმო **მომენტზეც** [უნდა იყოს: მომენტსაც] **მიაპყრობს** ჩვენს **ყურად-**

დებას ვ. ქვაჩაიხია“ („კომ.“); „ჩვენ გვინდა თქვენი **ყურადღება მივაქციოთ** მხოლოდ ზოგიერთ მომენტსა და **გარემოებაზე** [უნდა იყოს: გარემოებას]“ („კომ.“); „მწერალი მოთხრობის უკანასკნელ სტრიქონამდე **მიაქცევს ყურადღებას** დედა-შვილის ჯანსაღ ურთიერთობაზე [უნდა იყოს: ურთიერთობას]“ („მაცნე“); „მორწმუნეთა მთელ **ყურადღებას** **მიაპყრობენ იმაზე** [უნდა იყოს: იმას], რომ არსებობს ორი სამყარო“ („თბილ.“); „მთელი **ყურადღება უნდა მიექცეს** მომვლელი პერსონალის ხელების **მდგომარეობაზე** [უნდა იყოს: მდგომარეობას]“ („კომ. შრომა“); „მან **ყურადღება მიაპყრო** პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ეფექტურ ღონისძიებათა **გატარებაზე** [უნდა იყოს: გატარებას]“ („გამარჯვ. გზა“).

სახელის უთანდებულო მიცემითის ფორმიანი კონსტრუქცია დრო-კილოთა I და II ჯგუფის (სერიის) ფორმებისათვის არის დამახასიათებელი: **ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს) რასმე; ყურადღება მიაცია (მიაპყრო) რასმე.** დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებთან და სახელზმნასთან მიცემითში დასმულ სახელს -თვის თანდებულისანი სახელი ენაცვლება: **ყურადღება მიუქცევია, ყურადღება მიექცია, ყურადღება მიექციოს, ყურადღების მიქცევა საკითხისათვის, მდგომარეობისათვის** (მაგ.: „ის კი არავის მოუვიდა ფიქრად, რომ **ყურადღება მიექცია ჯოხებისათვის**“ — ი. გოგებ.). -თვის თანდებულისანი სახელი უნდა იყოს **მიაპყრობს** ზმნით შედგენილ კონსტრუქციებთანაც (ყურადღება მიუპყრია, მიეპყრო, მიეპყროს საკითხისათვის), თუმცა პრაქტიკულად ენაში ეს ფორმები ნაკლებ მოსალოდნელია. (**ყურადღება მიუპყრია, ყურადღება მიეპყრო, ყურადღება მიეპყროს** ენაში გვხვდება როგორც **ყურადღებას იპყრობს** შესიტყვების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები. მაგ.: ტაძარი მნახველთა **ყურადღებას იპყრობს** თავისი სიდიადით; ტაძარს თავისი სიდიადით არაერთხელ **მიუპყრია** მნახველთა **ყურადღება**).

რაც შეეხება ზემოთ წარმოდგენილ კონსტრუქციას, **ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს) + -ზე თანდებულისანი სახელი**, იგი სემანტიკურად მსგავსი **ყურადღებას გაამახვილებს, ყურადღებას შეაჩერებს, ყურადღებას გადაიტანს + -ზე თანდებულისანი სახელი** კონსტრუქციების ანალოგიით ჩანს გაკეთებული. გამორიცხული არ არის აგრეთვე სათანადო რუსული გამოთქმის (обратить внимание на что-л.) გავლენაც.

დასახელებულ შესიტყვებათა ზმნები, სუბიექტის გარდა, თითო ობიექტს შეიწყობენ: გაამახვილებს, შეაჩერებს, გადაიტანს ის მას (**ყურადღებას**). ხოლო სახელი, რომელზედაც **ყურადღებას** გაამახვილებენ, შეაჩერებენ, გადაიტანენ, -ზე თანდებულისანია სამივე სერიის

ფორმებთან და სახელწმინასთან. მაგ.: ყურადღებას გაამახვილებს (შეაჩერებს, გადაიტანს), გაამახვილა (შეაჩერა, გადაიტანა) გაუმახვილებია (შეუჩერებია, გადაუტანია) საკითხზე; ყურადღების გამახვილება (შეჩერება, გადატანა) საკითხზე.

შ

**შეასრულებს** ზმნის მნიშვნელობაა: გააკეთებს, განახორციელებს,... დაამთავრებს, დაასრულებს: „ჩვენთვის რაც უბრძანებია, იმას ვასრულებთ“ (ვაჟა); „კოლმეურნეობებმა თესვის გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს“ („კომ.“)...

ზოგჯერ ზმნა **შეასრულებს** გარკვეულ სიტყვებთან მყარ — ხშირად ტერმინოლოგიური ხასიათის — გამოთქმებს ქმნის: **დანიშნულებას ასრულებს, სამუშაოებს ასრულებს...** იღეთს (ნახტომს, პას...) ასრულებს და მისთ. მაგალითად: „რა დანიშნულებას ასრულებს სახელმწიფო („ისგ სკოლაში“); „...შეიძლება შევასრულოთ ვაზომვითი სამუშაოები მაქსიმალური სიზუსტით“ („ისგ სკოლაში“)... მაგრამ ტერმინოლოგიური დანიშნულებითაც **შეასრულებს** ზმნის წმარება ყოველთვის გამართლებული არ არის და მის ნაცვლად ზოგჯერ აჯობებდა მისი სინონიმური **განახორციელებს** ზმნის გამოყენება. მაგ.: „ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლებს ჯერ არ ახსოვთ ისეთი შორეული გაფრენა, როგორც ვღრ-ის სპორტსმენმა დ. ნოიენდორფმა შეასრულა [უმჯობესია: განახორციელა]“ („ლელო“); „მანაც წარმატებით შეასრულა დაშვება“ („კომ.“); „მოთხილამურეებმა პირველი კვალი გაიყვანეს ფიფქ თოვლში. შეასრულეს წარმატა ცი გადასვლები. სწრაფი დაშვებანი კონტაგორიდან“ („კომ.“); „მათზე შეიძლება ვაზომვებიც შევასრულოთ“ („ისგ სკოლაში“)...

ზმნა **შეასრულებს** რიგ შემთხვევაში გამოყენებულია სემანტიკურად მისთვის შეუფერებელ სხვა სახელებთანაც, რაც გვაძლევს სტილისტიკური თვალსაზრისით გაუმართავ შესიტყვებებს. ასეთებია შემდეგ წინადადებებში: „მტაცებლები ბუნებაში ასრულებენ თავისებურ სანიტარულ სამსახურს [უნდა იყოს: ასრულებენ... სამუშაოს, ან: ბუნებას უწევენ... სამსახურს]“ („ახ. კომ.“). შდრ.: „შესანიშნავ სამსახურს გაგიწევთ.. მხატვრული ფოტოალბომი „სვანეთის ცის ქვეშ“ („სამშ.“). „ჩაის პლანტაციების საზამთრო დამუშავება მაღალხარისხოვნად შეასრულეს [უნდა იყოს: პლანტაციები საზამთროდ მაღალხარისხოვნად დამუშავეს] ცხაკაიას რაიონის... კოლმეურნეობებმა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „1974 წლის პირველ კვარტალში გეგმით უნდა შეესრულებინა [უნდა იყოს: გამოეშვა, დაემზადებინა, შეექმნა] 700